

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში, მდინარეების ნატანებისა და სუფსის ხეობებში. მისი ფართობი შეადგენს 67 520 ჰა-ს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 27 827 ჰა უკავია, ხოლო ტყეებს - 17 370 ჰა. ადმინისტრაციულ ერთეულს ჩრდილოეთით ესაზღვრება ლანჩხუთის, აღმოსავლეთით - ჩოხატაურის, სამხრეთით - ქობულეთისა და შუახევის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტის ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს 2 100–2 800 მმ-ს, საშუალო წლიური ტემპერატურა კი 12–14°C-ია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: ნატანები, სუფსა, ბჟუჟი, ჩოლოქი, ბახვისწყალი და სხვა.

ადმინისტრაციულ ერთეულში 74 დასახლებული პუნქტია, აქედან 1 ქალაქი, 4 დაბა და 69 სოფელი. 2012 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს 78 500 კაცს, საიდანაც ქალაქის მოსახლეობა არის 27 500 (35%) კაცი, დაბების - 51 000 (65%) კაცი, ხოლო დანარჩენი სოფლად ცხოვრობს. მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 116 კაცი/კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) საგრძნობლად აღემატება.

მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო არის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მიღებული მოგება, მცირე საწარმოები, საჯარო სამსახურები და ვაჭრობა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებს კი ძირითადად უზრუნველყოფს მიწის გადასახადი, ქონების და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადები. წარსულში საბიუჯეტო შემოსავლებს უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი საწარმოები (საკონსერვო, ღვინის და რძის ქარხნები) და მრეწველობა (საფეიქრო, საშენ მასალათა, კერამიკული საწარმო).

მუნიციპალიტეტს აქვს ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და ტურიზმი. ამასთან, სატყეო მეურნეობს ბაზაზე შესაძლებელია ხის გადამამუშავებელი წარმოების, სამონადირეო მეურნეობის და სანერგე მეურნეობის განვითარება; მუნიციპალიტეტში არის მეფუტკრეობის

განვითარების პოტენციალიც. ეს შესაძლებლობები არაა ასახული მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებში.

2. ბუნებრივი საფრთხეები

ბუნებრივი საფრთხეებიდან, გამგეობის მონაცემებით, მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, სანაპიროს წარეცხვა და მდ. ნაპირების ეროზია. მათგან ყველაზე ხშირი და ძირითადი ზიანის მომტანი არის მეწყერი და მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, მათივე ცნობით, უკანასკნელ 10 წელიწადში, ბუნებრივი საფრთხეები მომატებულია. გახშირდა ძლიერი წვიმები, ძლიერი ქარი. გაძლიერდა წყალდიდობები და მეწყერი.

ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს ფართობებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა და მეწყერი თითქმის ყველა სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებს, ხდება მდინარის ნაპირების წარეცხვა და ზიანდება ჭალისპირა სახნავ-სათესი ფართობები (იხ. ცხრილებში #1 და # 2). ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გეოლოგიური საშიშროების ზონაში მოქცეულია 31 დასახლებული პუნქტი.

ცხრილი 1. მონაცემები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2002-2003 წლებში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზიანებული ტერიტორიების შესახებ.

ბუნებრივი საფრთხე	მიწის კატეგორია	დაზიანებული ტერიტორია, ჰა
წყალმოვარდნები	სახნავ-სათესი/ბალები	532 ჰა
სანაპიროს წარეცხვა	მდინარის ნაპირები და ჭალები	71 ჰა

ცხრილი 2. მონაცემები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2002-2003 წლებში ბუნებრივი კატასტროფების ზონაში მოქცეული დასახლებული პუნქტების შესახებ

ბუნებრივი საფრთხე	ადგილმდებარეობა	საცხოვრებელი შენობები	მოსახლეობის რაოდენობა	ეკომიგრანტები
ძლიერი ქარი	ოზურგეთი, სოფ. სკანა, მზიანი, დაბა ნასაკირალი, ლაითური, მაკვანეთი.	47 სახლი	47 ოჯახი	
მეწყერი	სოფლები: ასკანა, ბაილეთი, ბახვი, გურიანთა, დვაბზუ, თხინვალი, კონჭკათი, ლიხაური, მაკვანეთი, მელექედური, მერია, მთისპირი, ნაგომარი, ნატანები, სილაური, შემოქმედი, შრომა, ძიმითი, ჭანიეთი, ჯუმათი.	196 სახლი	196 ოჯახი	12 ოჯახი
წყალდიდობა/წყალმოვარდნა	ასკანა, ბაილეთი, ბახვი, გურიანთა, დვაბზუ, თხინვალი, კონჭკათი, ლიხაური, მაკვანეთი, მელექედური, მერია,	177 სახლი	177 ოჯახი	

	მთისპირი, ნაგომარი, ნატანები, სილაური, შემოქმედი, შრომა, ძიმითი, ჭანიეთი, ჯუმათი.			
--	---	--	--	--

ასე მაგალითად, 2002-2003 წლებში წყალმომარაგებისა და ღვარცოფის შედეგად დაზიანდა 30-მდე პატარა ხიდი, რომლებიც შიდა სასოფლო დანიშნულებისაა. 2003 წელს გრიგალმა დააზიანა 4,5კმ. სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და მაღალი ძაბვის 2 ანძა, 2005 წელს კი გრიგალმა დააზიანა საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები, კულტურის ობიექტები და ელექტრომეურნეობის ობიექტები. 2002 წელს მეწყერის შედეგად დაზარალდა 196 საცხოვრებელი სახლი სოფლებში: ასკანა, ბაილეთი, ბახვი, გურიანთა, დვაბზუ და სხვა. დამეწყერის შედეგად 12 ოჯახის გადასახლება შეიქმნა საჭირო. წყალდიდობის შედეგად 20 სოფელში 177 სახლი დაზიანდა.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ბუნებრივი საფრთხეების მიერ ბოლო 10 წელიწადში მიყენებული ზიანის ეკონომიკური გაანგარიშება. თუმცა ეკონომიკური ზარალის ოდენობაზე წარმოდგენა შეიძლება შეიქმნას იმის საფუძველზე, რომ 2002 წელს სტიქიის შედეგად მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1 800 000 ლარი, ხოლო 2005 წლის 9 მარტს გრიგალის შედეგად მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 27 000 ლარი.

მუნიციპალიტეტში არ არის ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგური და შესაბამისად არ ხდება ინფორმაციის მიწოდება კლიმატური პირობებისა და ბუნებრივი საფრთხეების შესამლო ცვლილებებზე. ტერიტორიულ ერთეულს ასევე არ გააჩნია კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა.

გამგეობის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტს გააჩნია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც მოიცავს, ხანძრებს, წყალდიდობას, მეწყერს და მიწისძვრას; თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების სრული რესურსი და დახმარებისთვის უნდა მიმართოს მეზობელ მუნიციპალიტეტებს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოსაფხვრელად, ასევე სტიქიის შედეგების შესარბილებლად/პრევენციისთვის ძირითადად ნაპირსამაგრი სამუშაოები ტარდება და ხდება მდინარის კალაპოტის გასწორება/ზოვნება. მიწათსარგებლობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სივრცითი დაგეგმარებისას და საინჟინრო პროექტების მომზადებისას ბუნებრივი კატასტროფების რისკების გათვალისწინება არ ხდება.

3. სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება.

მიწის რესურსი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. 2003 წლის მონაცემებით, ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, 27 827 ჰექტარი უჭირავს, მათ შორის სახნავ-სათესი მიწები 5 884 ჰა-ია, სათიბ-სამოვრები 6 686 ჰა-ს შეადგენს, მრავალწლიან ნარგავებს კი 15 258 ჰა უკავია.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი, კერძოდ კი სახნავ-სათესი მიწები ბოლო ათ წელიწადში ძირითადად ღვარცოფის, მეწყერისა და მდინარის ნაპირების წარეცხვის გამო შემცირდა. კერძოდ, სტიქიური მოვლენების შედეგად სახნავ-სათესი მიწების 10 000 ჰა ფართობზე მოხდა ნაყოფიერების დაკარგვა. წყალმოვარდნების შედეგად დაიკარგა 532 ჰა სახნავი მიწის ფართობი, 200 ჰა მეწყერის და 320 ჰა მდინარის ნაპირების გარეცხვის შედეგად შემცირდა. ვინაიდან სახნავ-სათესი მიწების დიდი უმეტესობა მდინარის გასწვრივ მდებარეობს, ძირითადად ისინი სწორედ მდინარის წარეცხვის შედეგად ზიანდებიან.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, ბოლო ათწლეულში, სასოფლო-სამეურნეო მიწებმა განიცადა დეგრადაცია. ამის მიზეზი ძირითადად იყო ეროზია, ჭარბი ძოვება და მეორადი დაჭაობება დრენაჟის არარსებობის გამო. კერძოდ, დაჭაობების შედეგად დეგრადაცია განიცადა 4 000 ჰა-მა, ეროზიის შედეგად დეგრადირებულია 500 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო ჭარბი ძოვების შედეგად - 3 000 ჰა.

მემცენარეობა

მუნიციპალიტეტში სახნავ-სათეს ტერიტორიებს 5 884 ჰა უკავია, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 21%-ია. მემცენარეობა მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგია. აქ ფართოდაა გავრცელებული მესიმინდეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მრავალწლიანი ნარგავებიდან მოყავთ თხილი და კივი. სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, ციტრუსის მოსავლიანობაა 5 ტ/ჰა, თხილის მოსავლიანობა შეადგენს 1.8-2 ტ/ჰა, კივის მოსავლიანობაა 20 ტ/ჰა, სიმინდის-2.5 ტ/ჰა, ხოლო ჩაის-1.5 ტ/ჰა.

გამგეობის ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ზოგიერთი კულტურის მოსავლიანობა შემცირდა. ამის მიზეზებად დასახელდა: დაბალპროდუქტიული სათესლე მასალა, მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლის არაეფექტური გზები, პარაზიტების მომრავლება, მცენარეთა დაავადებების გავრცელება, სარეველების მომრავლება, არასაკმარისი რწყვა და დაჭაობება. მოსავლიანობის შემცირება უამინდობამაც გამოიწვია, კერძოდ წყალდიდობებმა და გვალვამ.

მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სუბტროპიკულ ზონაში, გვალვების დროს მცენარეები საჭიროებს რწყვას. მუნიციპალიტეტში სარწყავი წყლის რესურსი საკმარისია, თუმცა საირიგაციო სისტემები ცუდ მდგომარეობაშია. მოსახლეობა რწყვის ტრადიციულ-არხოვან მეთოდს იყენებს.

ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო-სამეურნეო მიწების 4 100 ჰა (15%) საჭიროებს დრენაჟს. მართალია სადრენაჟე სისტემები არსებობს, მაგრამ მთლიანად საჭიროებს რეაბილიტაციას და გაწმენდას.

მეცხოველეობა

მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სადაც სათიბ-სამოვრებს 6 686 ჰა უკავია. 2012 წლის მდგომარეობით, ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 31 000 სულს შეადგენს. ამას გარდა, გამგეობის მონაცემებით, დაახლოებით 1 000 სული მსხვილფეხა პირუტყვი შემოდის

აჭარის მუნიციპალიტეტებიდან. შესაბამისად, ადგილობრივ და შემოყვანილ მსხვილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით, ერთ სულზე 0.2 ჰა სათიბ-სამოვარი მოდის.

მესაქონლეები ბოლო 10 წლის მანძილზე განიცდიან სამოვრების დეფიციტს. ამის მიზეზი ძირითადად სამოვრების ეროზია და დეგრადაციაა, რასაც სავარგულების დაჭაობება, დასარეველიანება, ჭარბი ძოვება და ზოგ შემთხვევაში სათიბ-სამოვრებისთვის მიწათსარგებლობის კატეგორიის შეცვლა იწვევს.

მუნიციპალიტეტში არსებული ალპური სამოვრებისთვის დადგენილია ძოვების ნორმები. აქ 1 ჰა-ზე 4 თვის განმავლობაში დასაშვებია 3-4 სული მსხვილფეხა პირუტყვის ძოვება. მეზობელი მუნიციპალიტეტიდან შემოსული მესაქონლეები ალპურ ზონაში ადრე ადიან და დიდხანს რჩებიან, არ იცავენ ძოვების ნორმებს, რის გამოც ადგილი აქვს ალპური სამოვრების გადამძოვებასა და ეროზიას. როგორც წესი, ფერმერებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა სამოვრების მართვისა და მოვლის შესახებ.

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, პირუტყვის წველადობამ და ხორცპროდუქტიულობამ დაიკლო. თუმცა ზუსტი მონაცემები ჯგუფს არ გააჩნია, რადგან მონიტორინგი არ ხორციელდება. წველადობის და ხორცპროდუქტიულობის შემცირების მიზეზებად სახელდება: საკვების უკმარისობა, ფერმერებში ცოდნის უკმარისობისა და ვეტერინარული მომსახურების ნაკლებობა. გარდა ამისა, სამოვრებზე ადგილი აქვს ნადირის თავდასხმებს. მაგ. სოფლებში: გურიანთაში, მერიაში, ჯუმათსა და კონჭკათში მგელმა 50 სული საქონელი შეჭამა და ზიანი მიაყენა სოფლის მოსახლეობას.

პროექტები და სერვისები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური-სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ვალდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოსა თუ არასამთავრობოების მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ პროგრამებს, უზრუნველყოს ფერმერები საჭირო ინფორმაციით და ტექნიკით, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო საკითხების მონიტორინგი და შეაგროვოს შესაბამისი ინფორმაცია, სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური ახალი შექმნილია, რის გამოც მათი მონიტორინგის მონაცემები ნაწილობრივ იძლევა დეტალურ ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო სერვისები, როგორცაა სურსათის უვნებლობისა და ვეტერინალური სამსახური, თუმცა მათი მომსახურება სოფლის მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომი არაა, ამასთან სამსახურს არ აქვს აგრონომის შტატი, რის გამოც ადმინისტრაციულ ერთეულში აგრონომიული მომსახურება დღემდე არ არსებობს.

სასოფლო-სამეურნეო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა მექანიზაციის ცენტრი, რომელიც ფერმერებს უზრუნველყოფს ტრაქტორებით. ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით შემოტანილ იქნა ახალი არატრადიციული კულტურები, როგორცაა მოცვი და საადრეო ჯიშის მანდარინი.

მუნიციპალიტეტს აქვს ჭარბტენიანი ტერიტორიების დაშრობის გეგმები სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება 2 500-3 000 ჰა-მდე დაჭაობებული ტერიტორიების დაშრობა სანაპირო ზონაში.

უნდა აღინიშნოს, რომ კერძო პირის მიერ განხორციელდა ბიოგაზის 20 დანადგარის დემონსტრირება და დადგმა.

4. ტყის რესურსები

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია ტყის რესურსებით. ტყის ფონდის საერთო ფართობი შეადგენს 17 370 ჰა-ს. აქედან ნაწილს (208 ჰა-ს) ტყეკაფის სტატუსი აქვს მინიჭებული, ნაწილი კი სუბალპური ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება. სატყეო მიწები არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ტყის კომერციულ და სოციალურ ჭრას, რაც ტყეკაფებში ხორციელდება. მერქნის დამზადების წლიური ლიმიტი სოციალური ჭრებისათვის შეადგენს 3 000მ³-ს, ხოლო კომერციული ჭრის - 8 704მ³/წლ. გამგეობის წევრთა ინფორმაციით, ტყის ჭრა ხდება 35⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობებიდანაც; ბოლო 10 წლის მანძილზე ტყის ჭრის ტენდენცია გაიზარდა 1 000მ³-ით, რაც გამოწვეულია მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნით სათბობ შემაზე.

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში, მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს უკანონო ჭრის შემთხვევებს და ეს მაჩვენებელი ასევე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიულად 503 ჰა ფართობის ქარსაცავი ზოლები არსებობდა. თუმცა 2003 წლის ინვენტარიზაციის მონაცემებით, აქედან გადარჩენილია 295 ჰა-მდე ნარგავები. ქარსაცავი ზოლების აღდგენა-გაშენება მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება და მსგავსი ღონისძიებები არც არის დაგეგმილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანერგე მეურნეობა არ არის. ჯგუფის წევრები ვარაუდობენ, რომ მსგავსი სანერგეების არსებობა ხელს შეუწყობდა ტყეების აღდგენასა და განაშენიანებას.

ადმინისტრაციულ ერთეულში ტყის ბუნებრივი აღდგენის მონიტორინგი არ ხდება. სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, სადაც ტყის ჭრა წესების დაცვით მიმდინარეობს, ხდება ტყის ბუნებრივი განახლება. ტყის გაკაფულ ადგილებში ადგილი აქვს მეწყერებისა და ნიადაგის ეროზიას. ხოლო მდინარის ნაპირებზე განხორციელებული ჭრების შედეგად ხდება მდინარის ნაპირების გარეცხვა და ეროზია.

5. წყლის რესურსები და წყალმომხმარება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს უხვი წყლის რესურსი გააჩნია. ზედაპირული წყლების ქსელი წარმოდგენილია მდინარეებით სუფსა და ნატანები და მათი შენაკადებით: ბჟუჟი, ჩოლოქი, ბახვისწყალი, ორანი და სხვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჭარბტენიანი ტერიტორიები შავი ზღვისპირა დაბლობებზეა განლაგებული. მათი საერთო ფართობის შესახებ გამგეობას ინფორმაცია არ აქვს, თუმცა ფიქრობენ რომ ბოლო ათწლეულში ჭარბტენიანი ფართობები გაიზარდა მელიორირებული მიწების მეორადი დაჭაობების გამო.

მუნიციპალიტეტში არ არის მოქმედი ჰიდროლოგიური სადგური, შესაბამისად, ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილების შესახებ ზუსტი

ინფორმაცია არ არსებობს. გამგეობის თანამშრომელთა აზრით, ბოლო 10-20 წლის მანძილზე გასულ წლებთან შედარებით, წყალდიდობის სიხშირე გაზრდილია, მდინარეების წყალდიდობის პერიოდი კი არ შეცვლილა.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის მონიტორინგი არ ხდება, რის გამოც ოფიციალური ცნობები წყლების დაბინძურების შესახებ არ არსებობს. სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყლები ბინძურდება კანალიზაციითა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

წყალმომარება ძირითადად საზოგადოებრივი წყალმომარაგებისთვის ხდება. ცენტრალური წყალმომარაგება მხოლოდ ქ. ოზურგეთს გააჩნია, რომელიც ზედაპირული წყლებით მარაგდება. წყალმომარაგების სისტემის საერთო მდგომარეობა საშუალოა და წყალმომარების აღრიცხვიანობა არ ხდება.

ცენტრალური წყალმომარაგების არმქონე მოსახლეობა მოიხმარს მიწისქვეშა წყლებს, რისთვისაც მათ მოწყობილი აქვთ საკუთარი ჭები. მუნიციპალიტეტში წყალმომარების შესახებ სტატისტიკა არ არსებობს.

მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო კოლექტორები და წყალგამწმენდი ნაგებობები არ არის. ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში, რაც სავარაუდოდ მის დაბინძურებას გამოიწვევს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების მართვა-განკარგვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურაა შპს „წყალკანალი“. მის ფუნქციებში შედის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და წყლის ხარისხის კონტროლი.

6. მდინარის ნაპირების დინამიკა

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, მდინარეების კალაპოტებიდან ხდება ინერტული მასალის მოპოვება, მაგრამ მუნიციპალიტეტს მოპოვებული ინერტული მასალის მოცულობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. (ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიებს გასცემს გარემოს დაცვის სამინისტრო და აღრიცხვას აწარმოებს ეკონომიკის სამინისტრო). გამგეობის ინფორმაციით, მდ. ნატანებზე გაცემულია 50 ლიცენზია.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში მდინარეთა კალაპოტების დინამიკაზე გავლენას ახდენს ინერტული მასალის მოპოვება. სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, ინერტული მასალის კარიერებთან ახლოს მდინარის ნაპირების გასწვრივ შეინიშნება მდინარის ნაპირების ეროზია/წარეცხვა, რის შედეგადაც ზიანდება დასახლებული ტერიტორიები და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა. ამას გარდა, მათივე ცნობით, ბოლო პერიოდში, მდინარეების სუფსისა და ნატანების კალაპოტებში მიმდინარეობს მდინარეული ნატანის ინტენსიური დაგროვება, რაც საფრთხეს უქმნის მდ. სუფსის ჭალას, ტერასებზე არსებულ სახლებსა და ნავთობის ჭაბურღილებს, რადგან წყალდიდობის დროს ინტენსიურად მიმდინარეობს ნაპირების გამორეცხვა. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად საჭიროა ნაპირსამაგრი სამუშაოები-პირველ რიგში მდინარეთა კალაპოტების გასწორხაზოვნება და ნაპირების გაბიონებით გამაგრება, რაც ნაწილობრივ ხორციელდება.

მდინარიდან ინერტული მასალის მოპოვების მონიტორინგი ადგილობრივ დონეზე არ ხორციელდება. არ ხდება მდინარის ნაპირებისა და კალაპოტის მონიტორინგიც. ამას ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო. მუნიციპალიტეტის გამგეობა და ადგილობრივი საკრებულოები პერიოდულად ამოწმებენ მდინარის ნაპირებთან არსებულ საინჟინრო ნაგებობების მდგომარეობას.

7. ინდუსტრია/წარმოება

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინდუსტრია ცუდადაა განვითარებული. ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს რამდენიმე კერძო ჩაის მინი ფაბრიკა. ამ საწარმოებში დამონტაჟებულია თუ არა წყლის მრიცხველები, გამგეობას ინფორმაცია არ გაჩნია. საწარმოებში არ ხდება წყლის ცირკულაცია და არ იყენებენ ენერგო-ეფექტურ ტექნოლოგიებს. საწარმოებს არ გააჩნიათ ნარჩენების მართვის გეგმები.

8. ნარჩენების მართვა

მუნიციპალიტეტში არის დასუფთავების სამსახური, რომელიც ახდენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ნარჩენების შეგროვებას და მის განთავსებას პოლიგონზე, რომელიც მუნიციპალიტეტს ორ ადგილას აქვს განთავსებული. ერთი ქალაქიდან მოშორებით, სოფელ მერიის ტერიტორიაზეა განთავსებული. ხოლო მეორე პოლიგონი ურეკი-ნატანების ტერიტორიაზეა.

მუნიციპალიტეტში არის 2 ლეგალური ნაგავსაყრელი. წელიწადში მუნიციპალიტეტში საშუალოდ ხდება 50 000-55 000მ³ ნარჩენის შეგროვება, რომლის შემადგენლობა არის შერეული. ბოლო 10 წლის განმავლობაში, გამგეობის ინფორმაციით, შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა გაიზარდა, თუ რამდენით არ ფლობენ ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტს ქალაქ ოზურგეთში, ექადის უბანში, სანიტარული ნაგავსაყრელი აქვს, სადაც ხდება საავადმყოფოებისა და ვეტერინარული ნარჩენების განთავსება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს არალეგალური ნაგავსაყრელები, თუ რა რაოდენობის ნარჩენი იყრება აქ შეფასებები არ არსებობს. არ არსებობს შეფასებები რეალურად რა მოცულობის ნარჩენები წარმოიქმნება მთლიანად მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტში არის გადამუშავებადი ნარჩენების შემგროვებელი კერძო პუნქტი, სადაც ხდება ჯართის შეგროვება, შეგროვებული ნარჩენების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არსებობს.

მუნიციპალიტეტში 2012წ. განხორციელდა ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროექტი, რაც გამოიხატება დასუფთავების სამსახურის ტექნიკით უზრუნველყოფაში და ქალაქის ტერიტორიაზე ნაგვის ურნების განთავსებაში.

9. გენდერი

მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები თვლიან, რომ სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის შემცირება თანაბრად მტკივნეულად აისახება როგორც ქალზე, ასევე მამაკაცზე, ვინაიდან, ორივე ძირითადად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობიდან მიღებულ პროდუქტიაზე და ის არის მათი ძირითადი საარსებო წყარო. ასევე თვლიან, რომ წყლისა და ტყის რესურსების დეფიციტი თანაბრად მოახდენს გავლენას ქალსა და მამაკაცზე. კლიმატის ცვლილების მიმართაც ორივე სქესის წარმომადგენელი თანაბრად მგრძობიარეა.

10. ადგილობრივი მმართველობა

მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს არასდროს არ გაუვლიათ ტრენინგი კლიმატის ცვლილების საკითხებზე, თუმცა ზოგიერთი მათგანი ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ რეგიონში ჩატარებულ სემინარებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, რომელიც კლიმატის ცვლილებასაც ეხებოდა. ისინი არ იცნობენ „საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებას კლიმატის ცვლილებაზე“.

გამგეობის წარმომადგენლების შეფასებით, მუნიციპალიტეტს კლიმატის ცვლილებების მიმართ მოწყვლადს ხდის ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა, სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები, კერძოდ აგრონომიული სამსახურების არ არსებობა. ტყის მასივების აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემები და მოსახლეობის დაბალი ცნობიერება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტში, უკანასკნელ დეკადაში, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ იგეგმება და ხორციელდება პროექტები კლიმატის ცვლილებების შესარბილებლად, კერძოდ, დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროექტები.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, ფერმერებისთვის შეიქმნა საკონსულტაციო მომსახურების ცენტრი, ამას გარდა მემცენარეობის ხელშესაწყობად განხორციელდა მაღალპროდუქტიული სახეობების შემოტანა, ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოსაფხვრელად დაგეგმილია და ხორციელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები და შიდა სასოფლო გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლების აზრით, კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების შესარბილებლად საჭიროა სადრენაჟე და სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია, ქარსაცავი ზოლების გაშენება. ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი სასოფლო სამეურნეო კულტურების გავრცელება.

11. დასკვნები და რეკომენდაციები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების შეფასების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებებისადმი შეიძლება დაფუძვნიროთ შემდეგ საკითხებს:

ბუნებრივი საფრთხეები - ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან დამახასიათებელია ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდ. ნაპირების წარეცხვა და მდ. ნაპირების ეროზია. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ბუნებრივი საფრთხეების რისკები მნიშვნელოვნად გაზრდილია ანთროპოგენული ზემოქმედების გამო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჭარბი ძოვება, მდინარეთა კალაპოტის არასწორი მართვა და ტყის ჭრა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას საფრთხეს უქმნის წყალდიდობა/წყალმოვარდნები და მეწყერი. 2002 წელს დამეწყვრის შედეგად დაზიანდა 196 საცხოვრებელი სახლი, მათგან 12 ოჯახის გადასახლება მოხდა, წყალდიდობამ კი 177 საცხოვრებელი სახლი დააზიანა. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის არა მარტო საცხოვრებელ სახლებს, არამედ სახნავ-სათეს ფართობებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა და მეწყერი თითქმის ყველა სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებს. ხდება მდინარის ნაპირების წარეცხვა და ზიანდება ჭალისპირა სახნავ-სათესი ფართობები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გეოლოგიური საშიშროების ზონაში მოქცეულია 31 დასახლებული პუნქტი.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ბუნებრივი საფრთხეების მიერ ბოლო 10 წელიწადში მიყენებული ზიანის სრული ეკონომიკური გაანგარიშება. მხოლოდ 2002 წლის 4-ნოქტომბერს სტიქიის შედეგად მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1 800 000 ლარი.. ხოლო 2005 წლის 9 მარტს გრიგალის შედეგად მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 27 000 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის ჯერ-ჯერობით არაა შეფასებული მოსალოდნელი ცვლილებები კლიმატში, თუმცა საერთო ტენდენციიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მომავალში კლიმატური ცვლილებები კიდევ უფრო გაამწვავებს ჩამოთვლილ საკითხებს და გაზრდის მუნიციპალიტეტის მოწყვლადობას ბუნებრივი საფრთხეების მიმართ.

სოფლის მეურნეობა - დღეისთვის სოფლის მეურნეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა, თუმცა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი, კერძოდ კი სახნავ-სათესი მიწები ბოლო ათ წელიწადში ძირითადად ღვარცოფის, მეწყერისა და მდინარის ნაპირების წარეცხვის გამო შემცირდა. სასოფლო-სამეურნეო მიწებმა განიცადა დეგრადაცია. ამის მიზეზი ძირითადად იყო მეორადი დაჭაობების პროცესი დრენაჟის არ არსებობის გამო, ეროზია და ჭარბი ძოვება. კერძოდ, დაჭაობების შედეგად დეგრადაცია განიცადა 4 000 ჰა-მა, ეროზიის შედეგად დეგრადირებულია 500 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო ჭარბი ძოვების შედეგად-3 000 ჰა.

მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული კულტურების მოსავლიანობა შემცირდა, მიზეზებად სახელდება მეურნეობის არაეფექტური გაძლოლა, არასაკმარისი რწყვა და დაჭაობება. როგორც ოფიციალური მონაცემებით ცნობილია, დასავლეთ საქართველოს წლიური საშუალო ტემპერატურა 0,3⁰-ით მომატებულია. გვალვები იწვევს მოსავლის განადგურებას ან უკეთეს შემთხვევაში მოსავლიანობის შემცირებას. ასეთ შემთხვევაში რწყვა ვერ ხერხდება, ვინაიდან საირიგაციო სისტემა მუნიციპალიტეტში არ არის მოწესრიგებული და ცუდ მდგომარეობაშია.

მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა საკმაოდ ჭარბია მათ ხელთ არსებული სათიბ-სამოვრების რესურსთან შედარებით. ამისი ინდიკატორია სათიბ-სამოვრების ეროზია გადამოვების

შედეგად. პრობლემას ისიც უნდა ამწვავებდეს, რომ პირუტყვი საზაფხულო სამოვრებზე სხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდანაც შემოჰყავთ. მიუხედავად სათიბ-სამოვრების სიმცირისა და დეგრადაციისა, მათი მოვლა-შენარჩუნებისთვის მუნიციპალიტეტში არავითარ ღონისძიებებს არ მიმართავენ, მათ შორის არც ნაკვეთმონაცვლეობით მოვებას მიმართავენ, ამასთან მესაქონლეები არ იცავენ სამოვრებისთვის დადგენილ ნორმებს.

მუნიციპალიტეტში ცუდადაა განვითარებული სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელიც შესძლებდა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

ტყის რესურსები - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსები დიდია. ტყის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია ტყის ჭრა, მათ შორის უკანონო და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელოვანი შემცირება 1990-იანი წლების შემდეგ. ტყის გაკაფულ ადგილებში ადგილი აქვს მეწყერებისა და ნიადაგის ეროზიას. ხოლო მდინარის ნაპირებზე განხორციელებული ჭრების შედეგად ხდება მდინარის ნაპირების გარეცხვა და ეროზია. მუნიციპალიტეტში ტყეების აღდგენა-განაშენიანება პრაქტიკულად არ ხდება.

წყლის რესურსები და წყალმომარაგება - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უხვადაა წყლის რესურსი; წყლის რესურსის და მისი ხარისხის მონიტორინგი არ ხდება. მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლების მოსაზრებით, წყალდიდობის სიხშირე გაზრდილია, მდინარეების წყალდიდობის პერიოდი კი არ შეცვლილა. მათი ვარაუდით და პირადი დაკვირვებებით, სეზონურად ხდება მიწისქვეშა წყლის დონის ცვლილებაც. კერძოდ, მისი დონე გაზაფხულზე, თოვლის დნობისას მატულობს, ხოლო აგვისტო-სექტემბერში დონე კლებულობს. თუმცა, ამისი ობიექტური მტკიცებულება არ გააჩნიათ.

მუნიციპალიტეტში არსებული წყლის რესურსი საკმარისია არსებული მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას არა აქვს ცენტრალიზებული წყალმომარაგება, რის გამოც წყალმომარაგების მეტი წილი მოდის მიწისქვეშა წყლებზე. წყალმომარაგების საერთო მდგომარეობას სამუშაო ჯგუფი საშუალოდ აფასებს, წყლის მრიცხველები არ არის დადგმული ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემებზე. დიდ დასახლებებში საკანალიზაციო კოლექტორი არ არის და შესაბამისად არც წყალგამწმენდი ნაგებობაა, ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში, რაც შესაბამისად გამოიწვევს ზედაპირული წყლების დაბინძურებას.

მუნიციპალიტეტში ბევრია ჭარბტენიანი ტერიტორიები, მათი ფართობები გაიზარდა მელიორირებული მიწების მეორადი დაჭაობების გამო.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები - მუნიციპალიტეტში, ბოლო 10 წელიწადში, განხორციელებული და დაგეგმილია პროექტები, რომელიც ხორციელდებოდა ზოგი ადგილობრივი და ზოგი ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რაც ძირითადად მოიცავს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, ნაპირსამაგრ სამუშაოებსა და შიდა სასოფლო გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას.

როგორც წესი, მუნიციპალიტეტის გამგეობას არასრული ინფორმაცია გააჩნია ისეთი საკითხების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის სენსიტიურობა კლიმატის ცვლილების მიმართ და როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები, სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები და წყალმომარაგება, ტყის რესურსები. ეს ზღუდავს მათ შესაძლებლობას გაანალიზონ მოსალოდნელი საფრთხეები, ასევე დაგეგმონ და განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები.

რეკომენდაციები

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისთვის მუნიციპალიტეტში რეკომენდირებულია შემდეგი ზომების გატარება:

- მდინარის კალაპოტის მართვის მეთოდების შეფასება, რათა დადგინდეს თუ რომელი მეთოდებია უფრო ეფექტური მოსალოდნელი კატასტროფების რისკების შესამცირებლად.
- ქარსაცავი ზოლების აღდგენა და ჭრების სისტემატიზაცია (რაც თვითმმართველობის პრიორიტეტიც იყო), რაც შეამცირებს ქარების ზემოქმედებას, ნიადაგის ეროზიას და დამეწყვრის რისკებს, ასევე ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიციხეებისას
- სახნავ-სათესი მიწების ეროზიის კონტროლი და პრევენცია, რისთვისაც საჭიროა შეფასდეს მეურნეობის გაძლოლის მეთოდები (მათ შორის ხვწა-თესვის და რწყვის მეთოდები) და შემუშავებული იქნას შესაბამისი რეკომენდაციები.
- ეროზირებული სახნავ-სათესი მიწების შეფასება და აღდგენის პროგრამის მომზადება. სადრენაჟე და სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია.
- სათიბ-სამოვრების ეროზიის პრევენცია, რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს რეალურად რა რაოდენობის პირუტყვის ძოვებაა დასაშვები კონკრეტული სამოვრებისთვის და შემდეგ დაგვარად დაცული იქნას ეს ნორმები. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი ძოვება, დადგინდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიზღუდოს შემოყვანილი პირუტყვის სულადობა, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე და სხვა.
- ეროზირებული სათიბ-სამოვრების აღდგენა, რისთვისაც შესაძლებელია განხორციელდეს ბალახის თესვა, დროებით შეიზღუდოს ძოვება ეროზირებულ მონაკვეთებზე და სხვა.
- მონაცემთა ბაზის წარმოება ბუნებრივი საფრთხეების და მათ მიერ მიყენებული ზარალის, სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსების, ტყის რესურსების და ნარჩენების მართვის შესახებ, რათა არსებობდეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების სრული სურათი და შესაძლებელი იყოს ამ გამოწვევების საპასუხო საქმიანობის დაგეგმვა.